ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№49. 4926016001**

თარიღი:**16/01/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რიგი პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის მოხელის კლასის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–5 მუხლის მე–6 პუნქტის, მე–10 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის, 57–ე მუხლის მე–3 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილებით დამტკიცებული შეფასების წესისა და პირობების მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის, მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე–4 მუხლის, მე–5 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეების 2025 წლის წლიური შეფასების შედეგების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემდეგ პროფესიულ საჯარო მოხელეებს მიენიჭოს მოხელის მეოთხე კლასი:

    1) მაია ბერაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

    2) ირინა ჩაკვეტაძე – საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

    3) ქეთევან კირტავა – საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

    4) ბექა იობიძე – ლოჯისტიკის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

    5) ნონა ტაბიძე – საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

    6) ნონა კობერიძე – საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური

რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

7) ლელა ბერძენიშვილი - საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

8) ნინო ლომიძე – საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

9) ნათია მელაძე – საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტი;

2. ალექსანდრე დადუნაშვილს - აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელს მიენიჭოს მოხელის მეორე კლასი, აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მაია უგლავასათვის მინიჭებული პირველი კლასი დარჩეს უცვლელი, ისევე როგორც აპარატის შემდეგ პროფესიულ საჯარო მოხელეებზე მინიჭებული მესამე კლასი:

1) ტარიელ ჭეიშვილი - აპარატის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი;

2) ხათუნა კვაბზირიძე - საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტი;

3) ნაზი ბენიძე – საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

3. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს მითითებულ პროფესიულ საჯარო მოხელეებზე, მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, სარგოს დანამატის–საკლასო დანამატის გაცემა ბრძანებაში მითითებული კლასების მიხედვით.

4. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 20 იანვრის №49.4925020001 ბრძანება.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გელა თათარაშვილს.

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი